პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რეს. საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 დეკემბერი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 232 (9643) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

XI

თვის მონაგარი

წარმატებათა სერია გრძელდება

შარშანდელთან შედარებით წლეულს საქართველოს სპორტსმენები გაცილებით უკეთესად გამოდიან. წარმატებათა სერია მათ ნოემბერშიც გააგრძელეს. ამ თვეში, ისევე როგორც ოქტომბერში, ჩვენმა სპორტსმენებმა დიდ წარმატებებს ძირითადად სათასო შეჯიბრებებში მიაღწიეს.

ვანსაკუთრებით გაგვახარეს მოჭიდავეებმა, რომლებმაც სწორედ სათასო შეჯიბრებებში გამოიჩინეს თავი. მართალია, მსოფლიო თასის გათამაშება გუნდური ასპარეზობაა, მაგრამ ოქროს მედლებს ცალკეული წონითი კატეგორიის მოჭიდავეებიც იღებენ. ულანბატორში (მონღოლეთი) თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო თასის გათამაშებაში ყველას აჯობა საბჭოთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში თბილისელი დავით გობეჯიშვილიც იყო (მძიმე წონა). გობეჯიშვილმა გუნდურ თასთან ერთად პირად პირველობაში ოქროს მედალიც დაიმსახურა.

თბილისელი კლასიკური სტილის მოჭიდავეები ზაურ ივანაშვილი (90 კგ) და გურამ გედეხაური (100 კგ) ოლბანში (აშშ) მსოფლიო თასის გათამაშებაში გამოდიოდნენ. ამ შეჯიბრებაში ყველას საბჭოთა ნაკრებმა აჯობა. მის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ივანაშვილმა და გედეხაურმა, რომლებმაც ყველა შეხვედრა მოიგეს და თასთან ერთად ოქროს მედლებიც მოიპოვეს.

იმავე დღეებში ზაპოროჟიეში გაიმართა „კლასიკოსთა" საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველი ფალავნებიც გამოდიოდნენ. 82 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა შორის ყველას აჯობა თბილისელმა ბეგი დარჩიამ, რომელმაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. ამავე შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა ბ. ფაიზიევი (52 კგ), ლენინგრადელი, ა. ნოვიკოვი (57 კგ), ვლადივოსტოკელი ა. აქსიონოვი (62 კგ).

ის. მე-2 გვ.

კიდევ ოთხი კლუბი

პროფკავშირების ნებაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებში შეიქმნა კიდევ ოთხი ახალი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კლუბი. კლუბები შექმნეს: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ — „ავიატორი" (თავმჯდომარე სამმართველოს უფროსის მოადგილე ა. გელაშვილი), ჯანმრთელობის სამინისტრომ — „მედიკი" (თავმჯდომარე მინისტრის მოადგილე მ. გერმავა), პურპროდუქტების სამინისტრომ — „თავთავი" (თავმჯდომარე მინისტრის მოადგილე ი. ოსიპოვი), რადიოელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტმა — „იმპულსი" (თავმჯდომარე კომიტეტის მდივანი ი. გაბუნია).

ქართული სპორტის მატიანე

მომთხოვნელი სპორტსმენი ცხოვრებაშიც

ახლა იგი დედაა, ქვეყანას შვილებს უზრდის, თანაც პროფესიით მუშაობს და როგორც ყველა კეთილსინდისიერი ექიმი, ადამიანების ჯანმრთელობისთვის ზრუნავს. საყვარელმა საქმემ იგი მშობლიურ თბილისს მოაშორა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს რა მნიშვნელობა აქვს სად იხდი შენს მოქალაქეობრივ ვალს. მისი მზრუნველი ხელი და გამოცდილი თვალი თელავის რაიონშიც ბევრს სჭირდება. თინათინ ლეკვეიშვილი რაიონში ყველასგან დაფასებული სპეციალისტია.

იგი, სხვათა შორის, სპორტშიც ასეთივე კეთილსინდისიერი, დაფიქრებული და მომთხოვნი იყო. მომთხოვნი, პირველ რიგში, თავის თავის მიმართ, თორემ სხვაგვარად 14-15 წლის გოგონას ქვეყნის მოცურავეთა ნაკრებ გუნდში არ ჩარიცხავდნენ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი პირველად 1968 წელს გახდა (მაშინ და მას მერეც სულ მუდამ გულაღმა ცურვაში გამოდიოდა). სწორედ ამ წარმატებისთვის წაიყვანეს იგი მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე. ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლები მერეც აქვს მიღებული (სულ შვიდჯერ) ხან 100-მეტრიან, ხან კი 200-მეტრიან დისტანციაზე.

იყო ევროპის ჩემპიონიც, ვერცხლის პრიზიორიც, რამდენჯერმე კონტინენტის რეკორდი გაუუჯობესა, მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირებში, სამატჩო შეხვედრებში. თინათინ ლეკვეიშვილის რანგის მცურავი რესპუბლიკას ერთი-ორი თუ ჰყავდა...

მაგრამ ადრე თუ გვიან სპორტსმენმა საყვარელ საქმეს თავი უნდა მიანებოს. ეს დროის პრალია. მაგრამ ბედნიერია ის, ვინც ახალგაზრდობის გატაცებას სხვა საქმეს შეუნაცვლებს და იქაც ივარგებს. თინათინ ლეკვეიშვილი კარგა ხანია არ არის სპორტში, მაგრამ მან თავისი მეორე მოწოდებას მაინც მიაგნო.

XXIII

იხინი კალგარის ზამთრის ოლიმპიადაზე იასპარეზებენ

სურათზე: მარინა კლიმოვა და სერგეი პონომარენკო.
ა. იაკოვლევის ფოტო. (საკდესი).

1988 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორები, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ვერცხლის მედალოსნები უინულზე ცეკვაში მარინა კლიმოვა და სერგეი პონომარენკო კალგარის ოლიმპიურ თამაშებში უმაღლესი ჯილდოსთვის საბრძოლველად ემზადებიან. მოსკოვში, „სოკოლნიკის" საციგურაოზე ისინი საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ნატალია დუბოვას ხელმძღვანელობით ხვეწენ ახალ პროგრამას.

სეზონის ყველა ჯილდო

ჯემალ მჰედლიშვილი პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი

საბჭოთა სამბისტები მსოფლიო ჩემპიონატებში მუდამ წარმატებით გამოდიან. 1986 წელს, მაგალითად, ჩვენმა მოჭიდავეებმა 6 ოქროს, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ე. ი. გუნდში ჯილდოს ყარეშე არავინ დარჩენილა. ახალგიურ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა სპორტსმენებმა ახლახან მილანში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზეც. ნაკრების ყველა ათივე მონაწილე საპრიზო ადგილზე გავიდა. ოღონდ ამჯერად ჯილდოების ხარისხი უკეთესი იყო (7 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი), რაც კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს ნიშნავს.

ოთხმა მოჭიდავემ შარშანდელი წარმატება გაიმეორა და მსოფლიო ჩემპიონის სახელი შეინარჩუნა. ესენია მოსკოველები ა. ხოდირევი (48 კგ) და ვ. შკალოვი (მძიმე), ტაშკენტელი ბ. ფაიზიევი (52 კგ), ლენინგრადელი, ა. ნოვიკოვი (57 კგ), ვლადივოსტოკელი ა. აქსიონოვი (62 კგ).

ზოგ წონაში ნაკრების მწვრთნელებმა შემადგენლობა განაახლეს, ორმა „ახალბედამ" — თბილისელმა ჯ. მჰედლიშვილმა და მოსკოველმა ვ. გურინმა ჩემპიონის სახელი პირველად მოიპოვეს. განსაკუთრებით საგულისხმოა ჯემალ მჰედლიშვილის წარმატება, რომელმაც წლეულს, ფაქტიურად, ყველა შეჯიბრება მოიგო: გახდა საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი.

ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს მინსკელმა ვ. იაპრინცევმა (68 კგ) და მაიკოპელმა ხ. ხაპაიმ (90 კგ), ბრინჯაოს მედალი კი ტაშკენტელ ე. ხალიკოვს (74 კგ) ხვდა წილად.

ციტატა

„ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ ამ დღეებში ინდოეთში ჩატარდა სსრ კავშირის ფესტივალი, რომლის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ფესტივალის სპორტულ პროგრამაში მონაწილეობდა ქართველი ტანმოვარჯიშე ემზარ ფუნთუშაშვილი. აი, რას წერს „სოვეტსკი სპორტის" გუშინდელ ნომერში გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი იური იურისი:

„...კეთილ სიტყვებს იმსახურებენ არა მარტო ჩვენი აღიარებული „ვარსკვლავები", რომლებსაც მთელი მსოფლიო იცნობს, არამედ ახალგაზრდა სპორტსმენებიც. გავრიხკავ და ვარაუდს გამოვთქვამ, რომ 18 წლის ემზარ ფუნთუშაშვილის გვარი მხოლოდ იმიტომ არ გამოჩნდა გაზეთებში, რომ იგი წარმოსათქმელად ძალიან რთულია ინდოელებისათვის. არადა, ეს ჭაბუკი ტანმოვარჯიშე თითოეულ გამოსვლაში სხვადასხვა იარაღზე 4-5 ნომერს ასრულებდა. ქალაქ გვალიორში, სადაც ტურნეს ბოლო გამოსვლა გაიმართა, გადაღლილმა ემზარმა ბოლომდე ვერ დაასრულა ორძელიდან რთული ჩამოხტომი და მტკივნეულად დაეცა. მიუხედავად ამისა, მაყურებელმა სათანადოდ შეაფასა რისკი და სირთულე, ტანმოვარჯიშე აპლოდისმენტებით დააჯილდოვა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ფუნთუშაშვილი კვლავ წარსდგა მაყურებელთა წინაშე და ბრწყინვალედ შეასრულა კომბინაცია ღერძზე".

Советский спорт

„არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი სპორტული მოედნის გარეშე!"

პატარა ლაგოდეხიდან

ლაგოდეხის რაიონში წლეულს მწყობრში ჩადგა რამდენიმე სპორტული ბაზა. კერძოდ, სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნეობაში აშენდა ახალი სპორტული კომპლექსი, რომელშიც შედის ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები, საჭიდაო ორმო, სარბენი ბილიკები, კომპლექსს აქვს გასახდელები და საშხაპეები. პროფკავშირული ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიონული საბჭოს კომპლექსს შეემატა საცურაო აუზი 25X15 მეტრზე (გათბობის გარეშე). მართალია, კონკურს-დათვალიერებისთვის დამთავრება ვერ მოასწრეს, მაგრამ სამუშაოები მიმდინარეობს კიდევ 8 ობიექტზე, რომელთა მწყობრში ჩადგომისთანავე ცნობებს დამატებით მოგაწვდით.

რ. ნოზაძე,
ლაგოდეხის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

გუშინ...

სევილია, 2 დეკემბერი (საკდესი). გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის მეცხრამეტე პარტია გ. კასპაროვსა და ა. კარპოვს შორის. თეთრი ფიგურებით თამაშობდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი კარპოვი. მეტოქეებმა გათამაშეს ლაზიერის გამბიტი.

I ლიგაში იასპარეზებენ

როგორც ჩანს, ყინული დაიძრა — საქართველოს ფრენბურთელთა გუნდები საკავშირო სარბიელზე ისევ გამოჩნდნენ და პირველ წარმატებასაც მიაღწიეს. თბილისის „მშენებლის" ვაჟთა კოლექტივის უფროსი მწვრთნელი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვაჟა კაჭარავა თავისი აღსაზრდელების გამოსვლით კმაყოფილი უნდა იყოს: „მშენებელი" გამოდიოდა შესარჩევ ტურნირში, რომელსაც საკავშირო ჩემპიონატის პირველი ლიგის მონაწილე კოლექტივი უნდა დაესახელებინა. თბილისელმა ფრენბურთელებმა ყველა მეტოქე დაამარცხეს, პირველი ადგილი დაიკავეს და გაისად პირველ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ამ წარმატების გამეორება ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბის ქალთა კოლექტივსაც შეეძლო, რომელსაც წვრთნის სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გივი ახვლედიანი. სტუდენტებმა ფინალური ტურნირის ოთხი მატჩიდან ორი მოიგეს და მხოლოდ პარტიათა შეფარდებით დათმეს პირველ ლიგაში თამაშის უფლება ტალინის „კალევთან".

XI

თვის მონაგარი

წარმატებათა სერია გრძელდება

დასასრული

მე ადგილი დაიკავეს ქუთაისელმა ვახილ ონიანმა (62 კგ) და თბილისელმა ჯემალ ბაკურიძემ (74 კგ).

ჩვენი ქვეყნის იუნიორმა ძიუდოისტებმა ვროცლავში გამართულ ევროპის პირველობაზე არნახულ წარმატებას მიაღწიეს: ნაკრების ყველა წევრი შინ მედლებით დაბრუნდა. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ამ შეჯიბრებაში ოქროს მედალი თბილისელმა ვახტანგ ჯაფარიძემაც (65 კგ) მოიპოვა.

ჰელსინკში გაიმართა ფინეთის ღია ჩემპიონატი ძიუდოში. იქ სარბიელზე საფრანგეთის, შვეიცის, გფრ-ის, ნორვეგიისა და უნგრეთის წარმომადგენლებთან ერთად ჩვენი ქვეყნის დინამოელი სპორტსმენებიც გამოდიოდნენ. 78 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეებში უძლიერესი იყო თბილისელი ლერი ნაკანი.

მილანში პლანეტის უძლიერესი სამბისტები მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ეცილებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის იყო ქარელელი ჯემალ მჭედლიშვილიც (82 კგ), რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა.

ბარნაულში პროფკავშირების სამბისტთა საკავშირო პირველობაზე საკმაოდ ტიტულიანი სპორტსმენები შეიკრიბნენ. ამ შეჯიბრებაში გელა ტყემალაძემ (90 კგ) მეორე ადგილი დაიკავა. მან ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონი კამიშევი დაამარცხა.

საქართველოს ნიჩბოსნობის ისტორიაში სამუდამოდ შევა ქუთაისელი გ. სირბილაძისა და ნ. მიქაუტაძის სახელები. ამ სპორტსმენებმა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან პირველებმა მოიპოვეს საბჭოთა კავშირის თასი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ამ წარმატებას მათ ფოთში გამართულ ახპარეზობაში მიაღწიეს (ორადგილიანი გასაშლელი უმესაჭო ნავით). ამასთან, ბპორტის ამ სახეობის ისტორიაში სირბილაძე და მიქაუტაძე გახდნენ პირველნი, ვინც ჩვენი რესპუბლიკიდან ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების გუნდის კანდიდატებად დასახელეს.

დიდი ხიხარული მოგვიტანა თბილისში გამართულმა მოჭადრაკე ქალთა 47-ე საკავშირო ჩემპიონატმა. აქ საპრიზო ადგილები მახპინძლებმა არავის დაუთმეს. 14,5 ქულით ჩემპიონი გახდა ნანა იოსელიანი, რომელიც პირველიდან ბოლო ტურამდე ლიდერობდა.

მეორე ადგილზე გახულმა თბილისელმა დიდოსტატმა ელენა ახმილოვსკაიამ 13,5 ქულა დააგროვა. 13 ქულით მესამე იყო ქეთევან არახამია.

ალბათ დაგვეთანხმებით, ის ფაქტი, რომ სამივე საპრიზო ადგილი თბილისელებმა მოიპოვეს, მრავლისმეტყველია.

წინა „თვის მონაგარში“ გაუწყეთ, რომ ცხინვალელმა ძალოსანმა კახი კახიაშვილმა ლიპეცკში პროფკავშირების ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაში (1969 წელს და შემდეგ დაბადებულნი) პირველი ადგილი დაიკავა და ატაცში (161 კგ) საკავშირო რეკორდი დაამყარა. შემდეგ კი, ნოემბერში, კახიაშვილმა ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე თავისივე რეკორდი ატაცში 2,5 კგ-ით გააუმჯობესა.

ბუდაპეშტში „დობოს“ თასზე გამართული მოკრივეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი იღბლიანი აღმოჩნდა თბილისელი ალბერტ კაზანჯიანისთვის. მან 57 კგ წონითი კატეგორიის მოკრივეთა ბრძოლაში ყველა მეტოქე დაამარცხა და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ბრეშნევში, სადაც გაიმართა 1969-74 წლებში დაბადებულ აკრობატთა საკავშირო შეჯიბრება, კარგად გამოვიდა თბილისელი ჯონდო მარიდაშვილი. მან ყველას აჯობა აბსოლუტურ პირველობაში, ხოლო ცალკეულ ვარჯიშებში პირველი და მეორე ადგილები დაიკავა.

ამავე შეჯიბრებაში თბილისელებმა ზაზა ნინუამ და ზვიად კვაჭაძემ ყველას აჯობეს წყვილთა ცალკეულ ვარჯიშებში.

სარბიელზე მუშის ტანსაცმელში

უჩვეულო შეჯიბრება გაიმართა პროფკავშირების მანეჟში, სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები მუსიკალური აკომპანიმენტის თანხლებით ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საწარმოო ტანვარჯიშში.

ასეთი შეჯიბრება პირველია ჩვენს რესპუბლიკაში. მისი მიზანია საწარმო-დაწესებულებებში აამაღლოს ტანვარჯიშის ეფექტიანობა. შეჯიბრებაში, რომელსაც საწარმოთა სპორტკლუბების პირველი რესპუბლიკური სპარტაკიადა ეწოდა, 11 გუნდი მონაწილეობდა. ვარჯიშები შერჩეული იყო მონაწილეთა სამუშაოს სპეციფიკის მიხედვით. სწორედ ამას ითვალისწინებდნენ მსაჯები შედეგების შეჯამების დროს.

სარბიელზე გამოვიდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები — თერძები, თვითმფრინავის მშენებლები, ფოლადის მდნობელები მეშახტეები და სხვები.

პირველი ადგილი დაიკავეს დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „შევარდენის“ წარმომადგენლებმა. მეორე — სსრკ 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების სპორტკლუბ „უშბის“ ფიზკულტურელებმა, მესამე ადგილზე კი მაუდ-კამოლის კომბინატის სპორტკლუბ „ივერიის“ წარმომადგენლები გავიდნენ.

შეჯიბრების კარგად ჩასატარებლად დიდი მუშაობა გასწია საქართველოს პროფკავშირების საწარმოო ტანვარჯიშისა და მშდ კომპლექსის დანერგვის მეთოდურმა კაბინეტმა.

ვ. ჩურკინი.

უნყლო და უგასახდელო დარბაზში

საქართველოს სპორტსახკომის სპორტნაგებობათა სამმართველოს, საფარიკაო დარბაზს, რომელიც ვაკის საცურაო აუზის გვერდით მდებარეობს, საკმაოდ საინტერესო „ბიოგრაფია“ აქვს, რომელშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი (უფრო სწორად, ბევრი ეპიზოდი) სიცივის წინააღმდეგ ბრძოლაა. ამ „ბრძოლაში“, იქ მოვარჯიშე სპორტსმენები და მათი მწვრთნელები მონაწილეობდნენ. წარსულ დროს მანუგეშებელ ნიშნად ნუ მიიჩნევთ, დარბაზის გათბობის საკითხი ახლა უფრო მწვავედ დგას დღის წესრიგში.

ამ გაუთავებელ ალიაქოთს დარბაზის გათბობის ირგვლივ ალბათ ადრე მოელებოდა ბოლო, ერთი გარემოება რომ არა: რატომღაც პრობლემის მოგვარებისთვის ზრუნვა ზამთრის დადგომისას იწყებოდა და მძაფრ ცაიტნოტში დარბაზს (ფაქტობრივად, ის არის ჩვენი მოფარიკაველების ერთადერთი ნუგეში) უბრალოდ, დროებით შეაკეთებდნენ ხოლმე, თუმცა კაპიტალური რემონტი იყო საჭირო.

დროებით აღდგენილი გათბობის სისტემაც მალე გამოდიოდა წყობიდან და (რასაკვირველია, სიცივის დადგომისას) ახალი „დროებითი რემონტი“ დგებოდა დღის წესრიგში.

თუმცა, ახლა გათბობის მოშლას მტკიცე, ეჭვმიუტანელი და ობიექტური მიზეზი აქვს: საფარიკაო დარბაზს ზემოდან მაგიდის ჩოგბურთის დარბაზს აშენებენ და საყრდენი სვეტების ჩადგმამ არსებულ ნაგებობაში გარკვეული, აუცილებელი ნგრევა გამოიწვია. საქმის მოგვარება სპორტსახკომის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს დაევალა.

ყველას მოეხსენება: ხშირად მშენებლობაში დავალების აღებიდან მის შესრულებამდე ბევრი წყალი ჩაივლის ხოლმე. აქ კი მშენებლები ჯერ საერთოდ არ გამოჩენილან. არადა, ახლა ცივა. გარდა ამისა, უწყლოდ და უგასახდელოდ ვარჯიში განა შეიძლება? სპორტსმენები და მწვრთნელები, რომლებმაც უკვე დაიწყეს მზადება მომავალი წლის შეჯიბრებებისთვის, მათ შორის ჭაბუკთა საკავშირო თამაშებისთვის, ძალზე უკმაყოფილონი არიან. მოკლედ, ყველას თვალი კარისკენ უჭირავს მშენებელთა მოლოდინში...

სხვათა შორის, ორიოდე დღის წინ იმ უწყლო, უგასახდელო, ცივ დარბაზში დაიწყო რესპუბლიკური შეჯიბრება მოსწავლეთა შორის. ასეთი საფარიკაო დარბაზი, როგორც ვთქვით, ერთადერთია თბილისში.

სპორტის უჩინარი მსახური

დეიდა ელენე

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა საქართველოს სპორტსახკომის ვაკის მძლეოსნურ მანეჟში, აუცილებლად შეამჩნევდა ფანჯარასთან მჯდარ ხანში შესულ ქალს, რომელიც გაფაციცებით ადევნებს თვალს მანეჟში მოვარჯიშეებს. როგორ გაუბრწყინდება ხოლმე თვალები, როცა სპორტსმენები მწვრთნელის მითითებებს ზუსტად შეასრულებენ, მაგრამ თუ ვინმემ წაიფორთხილა, ან წაიქცა, შვილო, შვილო, შეწუხებული წამოიძახებს და ლოყაზე შემოიკრავს ხელს. ელენე ლილუაშვილს — ფიზკულტურის ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის კომენდანტს აქ ყველა იცნობს, ყველა პატივს სცემს. ამ პატარა სასტუმროს მისი ხელი ატყვია. თვალს ახარებს სუფთა, მოვლილი დერეფანი და... ბევრი უყვავილი.

ჩემი სტუმრობის მიზეზი რომ გაიგო, გაუკვირდა, მე რა სპორტის მსახური ვარ, შვილო, იქ, სადაც სპორტსმენები არიან, მინდა წესრიგი და სისუფთავე სუფევდეს, განსაკუთრებულს ამბა რას ვაკეთებო. მაინც ვათქმევინე ორი სიტყვა.

— „ოც წელზე მეტია, რაც აქ ვმუშაობ. სპორტსმენების წარმატება გულს მიხარებს, ასე მგონია, მეც მიმიძღვის წვლილი მათ გამარჯვებაში და მათთან ერთად ბავშვივით ვხარობ“.

საერთო საცხოვრებელში რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები არიან დაბინავებული. ოჯახს, მშობლებს მოცილებულებს დეიდა ელენემ უნდა შეუქმნას „მიკროოჯახი“ და დედობაც გაუწიოს.

— არ იღლებით? — ვკითხე.

— „რას ამბობთ, რა დამღლის. დაღლა ამ ბავშვებისა ნახეთ. ვარჯიშიდან მოსულებს ჭამის თავიც არა აქვთ. აბა, ქანცგაცლილებს რა უნდა მოვთხოვო. იქით მინდა დავეხმარო. მთელი დღე ერთად ვართ. ასე, შევეჩვევით ერთმანეთს და მერე, ერთ მშვენიერ დღეს წამოკრეფენ გუდანაბადს და მიდიან. მიჭირს მათთან განშორება“.

კეთილი ქალია დეიდა ელენე. საწუხარს და სიხარულს მასზე გულისხმიერს სხვას ვის გაუზიარებენ სპორტსმენები. სტუმრად ჩამოსულ სპორტსმენებს ხშირად დეიდა ელენესთან აბინავებენ.

დაფუსფუსებს დეიდა ელენე თავის პატარა სამფლობელოში. ასუფთავებს, ალაგებს, სპორტსმენებს ყველაფერი ადგილზე რომ დახვდეთ.

გადის დრო. იცვლებიან თაობები. დეიდა ელენე კი... უცვლელია მისი ღიმილი, სითბო, სიყვარული.

მანანა სოხელია.

საქართველოს ტელევიზიის პრიზის გათამაშება მძლეოსნობაში

შედეგები უნდა გავითვალისწინოთ

ჩვენს წერილში საუბარი გვექნება ამ მრავალეტაპიანი ასპარეზობის ფინალური შეჯიბრების შედეგებზე, ხოლო მთლიანად გათამაშება დაწვრილებითი ანალიზისა და საგანგებო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. სამწუხაროდ, ორგანიზატორთა ჩანაფიქრი მონაწილე გუნდების ხელმძღვანელთა გულგრილობას შეეჯახა და საბოლოო შედეგიც დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა.

საქართველოს ტელევიზიის პრიზის გათამაშების ფინალი, როგორც იცით, თბილისისა და კიევის დინამოელთა მატჩის წინ და ტაიმებს შორის შესვენებისას მოეწყო. უნდა ითქვას, რომ ასპარეზობის დებულების ერთ-ერთი მთავარი მუხლი, რომლის უგულებელყოფა ადრეულ ეტაპებზე თითქმის წესად გაიხადეს მონაწილე გუნდებმა, ფინალში აღარ დარღვეულა — რვავე კოლექტივი სრული გუნდით გამოვიდა სტარტზე. შეგახსენებთ, რომ გადამწყვეტ ტურნირში იასპარეზეს მახარაძის, ცხაკაიას, ქარელის, გარდაბნის, ქობულეთის, თბილისის საბურთალოს, ქუთაისის ლენინის რაიონების გუნდებმა, აგრეთვე ცხინვალის ნაკრებმა. მათ შორის უძლიერესნი აღმოჩნდნენ მასპინძლები, თბილისის საბურთალოს რაიონის მძლეოსნები, რომლებსაც საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის პრიზი და სხვა ჯილდოები გადაეცათ. დაჯილდოვდნენ მეორე და მესამე ადგილებზე გასული კოლექტივებიც — ცხინვალის (მეორე ადგილი) და ქარელის რაიონის გუნდები.

წინა ეტაპებთან შედარებით ფინალურ შეჯიბრებაში **„დაიძრა ყინული“**, მონაწილეებმა რამდენადმე გაუმჯობესეს შედეგები. მაგალითად, თბილისელმა ზურაბ ყიფიანმა 60 მეტრზე რბენაში სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივიც კი შეასრულა — 6,7. მანვე 100 მეტრი 11 წამში გაირბინა. ყურადღებას იმსახურებს ქარელელი კახა თურმანიძისა და მახარაძელი გიორგი ფოცხიშვილის გამოსვლაც, რომლებმაც I თანრიგის ნორმატივის შესაბამისი შედეგები აჩვენეს.

გოგონათა შორის ასეთსავე წარმატებას მიაღწიეს გარდაბნელმა ლია მესტვირიშვილმა და ქარელელმა ეზა გაბარაევამ. ურიგოდ არ უსპარეზიათ ქუთაისელ კობა ჩიქოვანს (200 მ — 23,1) და თბილისელ ნინო ონაშვილს (ბირთვის კვრა — 11,95 მ).

თუ სტატისტიკას მოვიშველიებთ, 95 მონაწილიდან I თანრიგის ნორმატივის შესაბამისი შედეგი უჩვენა ხუთმა მძლეოსანმა, მეორისა — თოთხმეტმა, ხოლო მესამე თანრიგს 40 სპორტსმენმა გადააჭარბა.

ცალკეულ ნახეობებში კვლავ სპრინტერები „ლიდერობენ“, განსაკუთრებით — ჭაბუკები, „აქილევსის ქუსლად“ რჩება შეჯიბრება 1000 მეტზე რბენაში, სიგრძეზე ხტომასა და ბირთვის კვრაში. მაგალითად, კილომეტრიან დისტანციაზე ვერც ერთმა ბოგონამ II თანრიგის ნორმატივი ვერ შეასრულა. სავალალო მდგომარეობაა სიგრძეზე ხტომაშიც. მხოლოდ ქარელელმა დიანა კაკაშვილმა შეასრულა III თანრიგი ამ დისციპლინაში.

შეიძლებოდა სხვა შენიშვნების გამოთქმაც, მაგრამ, იმედია, ამას გააკეთებენ სპეციალისტები, რომლებიც შეჯიბრების ანალიზს ითავებენ. ასეთი ანალიზი, კიდევ ვიმეორებ, აუცილებელია, მომავალ სეზონში ხომ ახალი შეჯიბრება უნდა დაიწყოს.

ვალერი ვაშაკიძე,
შეჯიბრების მთავარი მხაჯი, საკავშირო კატეგორიის მხაჯი.

საქართველოს ტელევიზიის პრიზის მფლობელი თბილისის საბურთალოს რაიონის მძლეოსანთა გუნდი; ასპარეზობის მომენტი.

სიტყვა თქვენზეა, დინამოელებო!

ბრემენის „ვერდერისა“ და თბილისის „დინამოს“ უეფა-ს თასის 25 ნოემბრის მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში. ამას გადაჭარბებით არ ვამბობთ, ევროპული თასის მერვედფინალის ეს პირველი შეხვედრა ყოველმხრივ ღირსშესანიშნავი და საინტერესო იყო.

დავიწყოთ იმით, რომ „ვერდერი“ ამჟამად შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იმყოფება და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია, ხოლო თუ რა არის ბუნდესლიგის ჩემპიონატის ლიდერობა, ყველას კარგად მოგეხსენებათ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას საქვეყნოდ ცნობილი, მეტად ძლიერი კლუბები ჰყავს, ამ ქვეყნის პირველობაც, უდავოდ, მსოფლიოს საფეხბურთო ელიტის კატეგორიას მიეკუთვნება. და როცა „ვერდერმა“ მოსკოვის „სპარტაკთან“ მოსკოვში პირველი წაგების შემდეგ (1:4) შინ კიდევ უფრო დიდი სხვაობით გაიმარჯვა (6:2), ეს ისეთი სენსაცია იყო, რომელიც მხოლოდ ბრემენელ ფეხბურთელებს შესწევთ ძალად. საფეხბურთო პრესაში იმაზეც ბევრი ლაპარაკი იყო, რომ „ვერდერი“ იმპულსური გუნდია, მის თამაშში სერიოზული ამპლიტუდებია შესამჩნევი, გაიხსენეთ თუნდაც ის, რომ ამ გუნდმა უეფა-ს თასის პირველ წრეში ნორვეგიის „მოინდალენთან“ მეტოქის მინდორზე ანგარიშით 5:0 გაიმარჯვა, შინ კი თვითონვე დამარცხდა — 0:1. იყო ამგვარი შეუსაბამობა. მაგრამ ერთ საკითხზე კი ყველა ულაპარაკოდ თანხმდება: „ვერდერს“ უმაღლესი კლასის ფეხბურთელები ჰყავს და თუ ამ გუნდმა მოინდომა, მუდამ შეუძლია ისეთი სენსაციაც მოახდინოს, როგორიც მან მოსკოვის „სპარტაკთან“ საპასუხო მატჩში მოახდინა და, რა თქმა უნდა, მისი სიძლიერის უტყუარი დამადასტურებელი ამბავია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატის ლიდერობა.

ყველაფერი ეს საფუძველს გვაძლევს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ თბილისის „დინამოს“ საპასუხო შეხვედრა ბრემენის „ვერდერთან“ უაღრესად დაძაბული, შეუპოვარი და უშეღავათო იქნება, „ვერდერს“ მუდამ აქვს ამ იმპულსური თამაშის რეზერვები, ამიტომაც ადვილი შესაძლებელია თბილისის სტადიონზე მან სულ სხვა კლასის თამაში შესთავაზოს მეტოქეს.

ამიტომ ვამბობთ: ყოჩაღად, დინამოელებო! ეს კარგად უნდა ახსოვდეს მთლიანად გუნდსაც და ცალ-ცალკე მის თითოეულ ფეხბურთელსაც, 9 დეკემბრის მატჩში ჩვენმა გუნდმა უნდა გააკეთოს ყველაფერი, რაც კი მას ძალუძს და, შესაძლოა, იმაზე ცოტა მეტიც.

გავიხსენოთ, რომ ევროპის საკლუბო ჩემპიონატებში ბოლო წლების წარმატებათა შედეგად სსრ კავშირს გუნდების მაქსიმალური რაოდენობით გამოყვანის უფლება აქვს. მან ეს კოეფიციენტთა მაღალი ჯამის მეოხებით დაიმსახურა, მაგრამ ეს კოეფიციენტები მუდმივი სიდიდე არაა, იგი კონიუნქტურულია და იმის შესაბამისად იცვლება, თუ ყოველ წელს რა შედეგებს მიაღწევენ გუნდები ევროპის საკლუბო ტურნირების ასპარეზზე, ახლანდელ, 1987-88 წლების გათამაშებაში კი ჩვენს კლუბებს ვერა აქვთ კარგად საქმე. ეს შეჯიბრება სექტემბერში დაიწყო, ლიმიტის შესატყვისად 6 გუნდი გამოვიყვანეთ და მათგან, როგორც ვხედავთ, სადღეისოდ მხოლოდ ორიდა შემოგვრჩა: მინსკის „დინამო“ — თასების მფლობელთა თასზე და თბილისის „დინამო“ — უეფა-ს თასზე. გავიხსენოთ: ჩემპიონთა თასზე დამარცხდა კიევის „დინამო“, უეფა-ს თასზე ზედიზედ გამოეთიშნენ სარბიელს მოსკოვის „სპარტაკი“, ლენინგრადის „ზენიტი“ და მოსკოვის „დინამო“. ეს საგრძნობი დანაკლისია, ზემოხსენებული საერთო კოეფიციენტის გასაუმჯობესებლად მძიმე ტვირთი ახლა მხოლოდ მინსკისა და თბილისის დინამოელებმა უნდა ზიდონ.

პირველმა მატჩმა „ვერდერთან“ ბრემენის სტადიონზე დიდი იმედი ჩაგვისახა. მართალია, დავმარცხდით (1:2), მაგრამ ევროპის საკლუბო ვათამაშებათა ნორმებით ეს წაგება პერსპექტიულად ითვლება, მით უფრო, რომ მეტოქის მინდორზე ბურთი გვაქვს გატანილი. მაგრამ ხომ შესაძლოა ის, რაც დინამოელებმა გააკეთეს ბრემენში, „ვერდერმა“ თბილისში გააკეთოს. ფეხბურთის უცვლელი კანონები ვის დაუწერია? ამიტომაც ვამბობთ, რომ საპასუხო მატჩი უაღრესად საპასუხისმგებლო, ფრიად რთული და ძნელი გამოცდაა თბილისელთათვის, მათ უნდა ითამაშონ ისევე თავგამოდებით, კოლექტიურად, თავგანწირვით, მეგობრულად, როგორც ბრემენში.

რა აქვს აქტივში ჩვენს გუნდს? წაგება მინიმალური სხვაობით — 1:2. საკმარისია შინ, საკუთარ გულშემატკივართა თვალწინ (ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენი სტადიონი 9 დეკემბერს მთლიანად გაივსება) თბილისის „დინამომ“ დიდი შემართებით იბრძოლოს, საკმარისია გავიმარჯვოთ ანგარიშით 1:0 და ორი მატჩის ჯამში საერთო გამარჯვება ჩვენი იქნება. რა თქმა უნდა, გამარჯვება 2 ბურთის სხვაობით, რა ანგარიშითაც არ უნდა დამთავრდეს თამაში, დინამოელებს, ასევე უნაღდებს მეოთხედფინალის საგზურს, მაგრამ თუ მატჩი დამთავრდა სხვა შედეგით, წარმატება ბრემენელ ფეხბურთელებს დარჩებათ. ამაზე არც გვინდა ვიფიქროთ, მაგრამ „ვერდერსაც“ აქვს თავისი შანსები: გამარჯვება, ფრე, წაგებაც კი ანგარიშით 2:3, 3:4 და ა. შ. ამიტომაც ვამბობთ, რომ ყველანი, ფეხბურთელებიც და გულშემატკივრებიც ერთ მთლიან, მიზანსწრაფულ მონდომებად უნდა ვიქცეთ, რათა ჩვენმა გუნდმა, ამ მეტად წარუმატებელი სეზონის შემდეგ, თქვას თავისი გადამწყვეტი სიტყვა.

ბრემენში ჩატარებული საინტერესო მატჩის შემდეგ ქება და დიდება დინამოელთათვის არ დაგვიკლია, საკმარისად მოვიშველიეთ დასავლეთგერმანული გაზეთების სარე, რაც რ. შენგელიამ ანგარიშში სხვაობა შეამცირა, დინამოელები დაწყნარდნენ, მათ ირწმუნეს თავიანთი ძალები. აი, ხომ ხედავთ რამდენად მოულოდნელია ზოგჯერ ფეხბურთი. რახან „სპარტაკმა“ ვერ გაუძლო მეტოქის იერიშებს ბრემენში, ზოგიერთი სკეპტიკოსი ფიქრობდა, რომ თბილისელებს იქ საერთოდ აღარა აქვთ საქმე, მაგრამ ყველაფერი პირიქთ მოხდა, დინამოელებმა, პროგნოზების საწინააღმდეგოდ, ისეთ შედეგს მიაღწიეს, რომელიც თითოეულ ჩვენგანს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს. თუმცა, თვით ჩვენს მოთამაშეებსაც და მწვრთნელებსაც მაქსიმალური მობილიზება და ყურადღება მართებთ“.

ქებარი რეცენზიებიც, ახლა კი გვინდა ჩვენს მკითხველებს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებული რეცენზიის ზოგიერთი ადგილი მივაწოდოთ. სარედაქციო წერილი დასათაურებულია ასე, „გვაქვს ოპტიმიზმის საფუძველი“. გაზეთი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც „ვერდერმა“ შეძლო მოსკოვის „სპარტაკის“ დამარცხება, ყველა დიდი ინტერესით ელოდა თბილისის „დინამოს“ გამოსვლას ბრემენში. ყველას აწუხებდა საკითხი: შეძლებენ კი თბილისელი ფეხბურთელები მოიგერიონ მეტოქეთა იერიშების გრიგალი, ეყოფათ კი მათ გამძლეობა, ოსტატობა და ნებისყოფა? „საბედნიეროდ, დინამოელებს ყველაფერი ეს ეყოთ. ...თვალს ვადევნებდით რა ბრემენში ჩატარებულ მატჩს, იგრძნობოდა, რომ დინამოელებმა საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთეს სპარტაკელთათვის იმ მეტად წარუმატებელ მატჩს და სწორი დასკვნები გამოიტანეს. ყოველ შემთხვევაში, დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები მინდვრის სრული ბატონ-პატრონნი მხოლოდ მატჩის პირველი 20 წუთის მანძილზე იყვნენ, შემდეგ კი, განსაკუთრებით მას მეაი, ასეა საქმე. ჩვენც იმის იმედი გვაქვს, რომ თბილისის „დინამო“ ძალებს არ დაიშურებს წარმატების მისაღწევად. საერთაშორისო სარბიელზე ბრემენის „ვერდერთან“ გამარჯვება, შეიძლება ითქვას, ოქროს ასოებით ჩაიწერება თბილისის „დინამოს“ ისტორიაში!

ჩვენ ვამბობთ: ფრთხილად, დინამოელებო! და ეს მარტო 9 დეკემბრის საპასუხო მატჩის სპორტულ მხარეს არ ეხება. ყველამ კარგად იცის, რომ ბრემენში ხუთმა დინამოელმა გაფრთხილება დაიმსახურა. ღირსეული იყო ეს გაფრთხილებები, თუ ყვითელი ბარათები მსაჯის კაპრიზით ფრიალებდა, სულ ერთია, გაფრთხილება გაფრთხილებაა, იგი მაშინვე იწერება უეფა-ს სამდივნოს „შავ წიგნში“, ახლა კი, როცა თითოეული ჩვენი მოთამაშე ასე ძვირად გვიღირს, ძალზე ფრთხილად უნდა ვიყოთ.

დიახ, ყოვლად მიუტევებელი საქციელი ჩაიდინა „დინამოს“ მცველმა მ. არზიანმა, მისი 4 მატჩით დისკვალიფიკაციაც მძიმედ ემჩნევა ჩვენს გუნდს. ეს მით უფრო საწყენია, რომ დარღვევა მოხდა ჩვენს სტადიონზე, ჩვენს თვალწინ და-რამდენიც არ უნდა ვიფიქროთ, პირაკოთ ამაზე — ამ რუმინელ „ვიქტორიის“ მცველი უნებლად, ავაზაკურად თავს დაესხა მ. არზიანს უკნიდან, დინამოელის საპასუხო რეაქციის შედეგად ძირითადი მცველის გარეშე დავრჩით.

* * *

რედაქციაში გამუდმებით რეკავს ტელეფონი, ფეხბურთის მოყვარულები გვეკითხებიან თუ რომელ დინამოელს აქვს უეფა-ს თასის მიმდინარე გათამაშებაში ორი გაფრთხილება და კიდევ ვინ გამოგვაკლდება „ვერდერთან“ მეტად საპასუხისმგებლო საპასუხო მატჩისთვის.

ვპასუხობთ: არ გამოაკლდება არავინ.

იღბლად, გაფრთხილებათა საკმაოდ ვრცელი ნუსხა მოდის სხვადასხვა მოთამაშეზე. დაინტერესებულთ მივაწვდით იმ დინამოელთა სიას, ვინც გაფრთხილება მიიღო უეფა-ს განვლილ მატჩებში:

სოფიის „ლოკომოტივთან“ გააფრთხილეს ზ. რევიშვილი, ო. გაბელია, რ. შენგელია;

ბუქარესტის „ვიქტორიასთან“ — ა. ცვეიბა, გ. კეტაშვილი, მინდვრიდან გააძევეს მ. არზიანი;

ბრემენის „ვერდერთან“ — გააფრთხილეს გ. გურული, ა. ჩივაძე თ. სულაქველიძე, ო. კორღალიძე, ს. ჭედია.

ვიმეორებთ — მეორე გაფრთხილება, საბედნიეროდ, არც ერთ დინამოელს არა აქვს, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ უნდა მიიღოს იგი სამერმისოდაც. ამიტომაც საჭიროა ჩვენმა ფეხბურთელებმა დიდ თავგამოდებასთან ერთად ასეთივე სიფრთხილეც გამოიჩინონ, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი გაფრთხილებას ღებულობს არა უხეშობისთვის, არამედ ე. წ. ტექნიკური დარღვევებისთვის, ამ დროს კი, დარწმუნებული ვართ, თავის შეკავება და ნერვების მოთოკვა მუდამ შეიძლება.

ფეხბურთის მოყვარულები ახლა 9 დეკემბრის მატჩის მოლოდინით ვცხოვრობთ, დიდი იმედი გვაქვს, რომ თბილისის „დინამო“ ბრემენის პერსპექტიული ანგარიშის შემდეგ არ დათმობს პოზიციებს, კვლავაც მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარებს საპასუხო მატჩს, მით უმეტეს, რომ ათეულ ათასობით მხარდამჭერნი ვეყოლებით ტრიბუნებზე.

თბილისის „დინამოს“ შეუძლია ამ ამოცანის შესრულება, მან ყველაფერი უნდა გააკეთოს გამარჯვების მოსაპოვებლად. ამჯერად იგი არა მარტო საკუთარი პრესტიჟისა და სახელისთვის, არამედ საერთოდ ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის ღირსებისთვისაც იბრძვის.

ბიბიკო ჟორჟია.

საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 44-ე ტურისა და გამოტოვებული მატჩები.

I ჯგუფი

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) 2:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლები: ჯანელიძე, ქობალია („ამირანი“.)

„დინამო“ (გაგრა) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 4:1. მსაჯი გ. ცქიტიშვილი (ქუთაისი).

„დინამო“ (ზუგდიდი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 4:0. მსაჯი ბ. შავიშვილი (ბათუმი).

„იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:3. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი). გოლები: ჩიმაკაძე, ბაკურაძე, ქომეთიანი („კოლხეთი“).

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:1. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: გაგოძე, ხორგუაშვილი („ქართლი“), ბ[illegible]ეჯიშვილი („სპარტაკი“).

„ქახეთი“ (თელავი) — „სჭური“ (წალენჯიხა) 4:3. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი). გოლები: ჯაშიაშვილი, ჭვირიტიძე-3 („ქახეთი“). ფიფია-3 („სჭური“).

„სულორი“ (ვანი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:0. მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი). გოლები: ბრეგვაძე, პაიკიძე („სულორი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ვანელი დ. პაიკიძე.

„არმაზი“ (მცხეთა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი). გოლი: სოლოღაშვილი („არმაზი“).

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:1. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი). გოლები: გ. ფანჩულიძე-2 („საპოვნელა“), ვ. ჩოჩიევი („სპარტაკი“).

„იმერეთი“ (ქუთაისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:2. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი). გოლები: მამალაძე, ჭუმბურიძე („იმერეთი“), მარეხაშვილი, მებუკე (ფიზ. ინსტიტუტი).

„ეგრისი“ (ცხკაია) — „ივერია“ (ხაშური) 4:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლები: ყურაშვილი, შონია, ალანია, გაბისკირია („ეგრისი“), ჩადუნელი, ნოზაძე („ივერია“).

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:1. მსაჯი მ. კობაიშვილი (თბილისი). გოლი: ქომეთიანი („კოლხეთი“).

„შადრევანი“ (წყალტუბო) — „ხალხინო“ (გეგეჭკორი) 2:3. მსაჯი ჯ. მგელაძე (თბილისი). გოლები: გოგელიძე, ბაბუნაშვილი („შადრევანი“), ჭუბაბრია, დანელია, ლაგვილავა („ხალხინო“).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლხეთი“	44	29	10	5	94-38	68
„მერცხალი“	42	26	12	4	66-30	64
„შადრევანი“	44	27	8	9	81-44	62
„სამეგრ.“	44	21	11	12	67-44	53
„სჭური“	44	21	8	15	85-66	50
„სულორი“	44	20	10	14	67-52	50
„ამირანი“	44	18	10	16	56-61	46
„დინამო“ ზ.	44	18	9	17	73-60	45
„ქართლი“	44	18	7	19	64-63	43
„ივერია“	44	17	9	18	62-59	43
„მეტალურ.“	44	18	6	20	73-67	42
„მადნეული“	44	16	10	18	72-63	42
„საპოვნელა“	44	16	10	18	57-68	42
„არმაზი“	44	15	12	17	62-69	42
„დინამო“ გ.	44	14	14	16	57-69	42
„სპარტაკი“	44	15	11	18	78-75	41
ფიზკ. ინსტ.	44	15	11	18	64-68	41
„ეგრისი“	44	15	10	19	72-74	40
„ხალხინო“	44	14	12	18	62-81	40
„დურუჯი“	43	13	13	17	48-56	39
„ქახეთი“	44	15	7	22	73-81	37
„იმ.“-„დ.“-2	42	15	7	20	65-74	37
„იმერეთი“	43	14	7	22	64-92	35
ახ. საფ. სკ.	44	3	0	41	34-142	6

საბჭოთა ფეხბურთელები ტუნისში

სსრ კავშირის ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრებმა ტუნისში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა ამ ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს ტატარჩუკმა და ივანაუსკასმა.

4 გუნდის მონაწილეობით

31 მარტიდან 2 აპრილამდე დასავლეთ ბერლინში გაიმართება 4 გუნდის საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი. როგორც აქაური პრესა იუწყება, ტურნირში სავარაუდოა შვეიცის, არგენტინის, სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მონაწილეობა.

გულიტი, კრუიფი და „პორტო“

პოპულარული ინგლისური ჟურნალის „უორლდ სოკერის“ მკითხველებმა მსოფლიოში წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს იტალიის „მილანისა“ და ჰოლანდიის ნაკრების მოთამაშე რუუდ გულიტი. მან ხმათა 38,5 პროცენტი მიიღო და შარშანდელ ლაურეატს, მეორე ადგილზე გასულ არგენტინელ დიეგო მარადონას (13,1) საგრძნობლად გაუსწრო. მესამე ადგილზეა ჰოლანდიელი მარკო ვან ბასტენი (8,8).

ჰოლანდიელი იოჰან კრუიფი, ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელის „აიაქსის“ ხელმძღვანელი, მიიჩნიეს წლის საუკეთესო მწვრთნელად.

წლის საუკეთესო გუნდია პორტუგალიის „პორტო“, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო.

წვივსაფარები სავალდებულოა

ფეხბურთის წესებში ნათლად და გარკვევით წერია, რომ ფეხბურთელის სავალდებულო აღჭურვილობაში წვივსაფარებიც შედის, თუმცა, მაყურებელი კარგად ხედავს, რომ ბოლო ხანებში ფეხბურთელები ნაკლებად იკეთებენ წვივსაფარს და, გარდა ამისა, ჩაჩაჩული გეტრებითაც თამაშობენ.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სამედიცინო კომისიამ ხანგრძლივი დაკვირვება აწარმოა და მთელი მსოფლიოს ფეხბურთელებს რეკომენდაცია მისცა თამაშის დროს აუცილებლად გაიკეთონ წვივსაფარები. როგორც კომისიის ცნობაშია ნათქვამი, ფეხბურთელები ტრავმების უმეტესობას სწორედ წვივის არეში ღებულობენ, ახლა კი ეს შიდსით დაავადების საშიშროებასაც იწვევს, ვინაიდან ტრავმების დროს ხშირია სისხლმდენი იარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო მიღება და სპორტი

როცა სტატუსს ვერ ამართლებენ

წლეულს საქართველოს სპორტახკომმა თავის საქმიანობაში დაამკვიდრა ეგრეთ წოდებული სახელმწიფო მიღება, რომელიც სპორტიმენთა მომზადების შემოწმების საუკეთესო საშუალებაა და მათი ოსტატობის ამაღლებას ისახავს მიზნად.

რა გვიჩვენა ასეთმა შემოწმებამ? აღმოჩნდა, რომ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი გვქონია. როგორც ჩანს, რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებულ სპორტსკოლებში მწვრთნელთა მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის დასახვეწად და მაღალი კლასის სპორტსმენების მოსამზადებლად საჭირო პირობების შესაქმნელად მუშაობის გარდაქმნა ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამ სკოლების მწვრთნელთა უმრავლესობა უპასუხისმგებლოდ ეკიდება საქმეს — არ ზრუნავს აღსაზრდელთა საერთო ფიზიკურ მომზადებაზე, მათ მიერ სასკოლო პროგრამის ათვისებაზე.

სპორტსკოლების სასწავლო ჯგუფებში სპორტსმენთა დასაოსტატებლად გაწეული მუშაობის შედეგები დაბალია, ხოლო ამ სკოლების მიერ უმაღლესი სპორტული დაოსტატების სპორტსკოლებში გაგზავნილი მოსწავლეთა რაოდენობა სავალდებულოზე 30 პროცენტით ნაკლები. არ ზრუნავენ მოსწავლეთა შერჩევაზეც. ხშირად მწვრთნელები არ ითვალისწინებენ აღსაზრდელთა საბაზო მომზადებას და ფორსირებული მეთოდით ცდილობენ შედეგების გაუმჯობესებას, რაც ოსტატობის დაკარგვებას იწვევს.

ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტსკოლების არაეფექტური მუშაობის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ აქ მისაღები და კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები უგულისყუროდ, ფორმალურად ტარდება. სპორტსმენთა დაოსტატებას არც სპორტსკოლების ხელმძღვანელები აქცევენ სათანადო ყურადღებას.

სახელმწიფო მიღების შედეგებმა დაგვარწმუნა, რომ რესპუბლიკის ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში და უწყებებში სპორტსკოლების ქსელის მართვის სტრუქტურა უგულებელყოფილი იყო. სკოლების სპორტდარბაზები საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადებისთვის საჭირო ტრენაჟორებითა და სხვა ინვენტარით არ მარაგდებოდა. საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადებისთვის არ იყენებდნენ ბუნებრივ კლიმატურ პირობებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ თბილისში, სხვა ქალაქებსა და რაიონებში ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტსკოლების ქსელი არათანაბრად ვითარდება. 26 ამგვარი სკოლიდან 24 თბილისშია თავმოყრილი. სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, გორისა და სხვა ქალაქების სპეციალიზებულმა სპორტსკოლებმა, თავიანთი დაბალი შედეგების გამო, „ოლიმპიური რეზერვის“ სტატუსი ვერა და ვერ მოიპოვეს.

აი, რატომ ვერ შეძლო სახელმწიფო მიღებაზე ყველა სპორტსმენმა ნორმატივების ჩაბარება (1053-დან 390-მა სპორტსმენმა, ე. ი. 37,1 პროცენტმა მთლიანად ვერ ჩააბარა ნორმატივები).

საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში ნორმატივებს ვერ შესწვდა 367 სპორტსმენი (34,8 პროცენტი), გამოცდაზე სპეციალურ ტექნიკურ მომზადებაში 256 ჩაიჭრა (24,3).

გამოდის, რომ ნორმატივები თითქმის ნახევარმა („შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელთა გარდა) ვერ ჩააბარა.

ახლა ის ვიკითხოთ, რა უჯდება სახელმწიფოს სპორტული სრულყოფისა და უმაღლესი სპორტული დაოსტატების ჯგუფებში ერთი სპორტსმენის მომზადება. თანხა სხვადასხვა სპორტსაზოგადოებაში და უწყებაში სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა. მაგალითად, „განთიადს“ ერთი ძიუდოისტის აღზრდა 833 მანეთი უჯდება, თბილისის განათლების საბმართველოს კი — 2027 მანეთი.

არანაყოფიერი მუშაობის გამო ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლებს ფეხბურთში ერთი სპორტსმენის აღზრდა საარაკო თანხა უჯდებათ — ქუთაისის „განთიადს“ — 57800 მანეთი, თბილისის განათლების სამმართველოს — 55 962 მანეთი, თბილისის „დინამოს“ ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებულ ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის სპორტსკოლაში კი ეს თანხა „მხოლოდ“ 10000 მანეთს შეადგენს.

ყოველივე ამის შესახებ ამას წინათ იმსჯელა საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიამ, რომელმაც არადამაკმაყოფილებლად შეაფასა განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტსკოლების მუშაობა ფეხბურთში (დირექტორი ა. თურქია), ჩოგბურთში (თ. კაკულია), მხატვრულ ტანვარჯიშში (ს. ბაქანიძე), ფარიკაობაში (ტ. მესხი), პროფკავშირული სპორტსაზოგადოების სკოლებისა—მძლეოსნობაში, ცურვაში, ფეხბურთში (ქუთაისის სპორტსკოლა).

არადამაკმაყოფილებლად ჩათვალეს „დინამოს“ სპორტსკოლის (ო. უშვერიძე) მუშაობა, ხოლო თბილისის სპორტკომიტეტთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლისა (ე. ფარჯანაძე) — უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად.

კოლეგია იძულებული გახდა მიემართა მკაცრი ზომებისთვის და უხეირო მუშაობისთვის დაკავებული თანამდებობებიდან გაეთავისუფლებინა სპორტსკოლების 6 ხელმძღვანელი, ხოლო თერთმეტი მკაცრად დაესაჯა.

იმის გამო, რომ „განთიადის“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლამ ცურვაში ვერ გაამართლა „ოლიმპიური რეზერვის“ სპორტსკოლის სტატუსი, კოლეგიამ საკავშირო სპორტსახკომის წინაშე დასვა საკითხი მისთვის ამ წოდების ჩამორთმევის შესახებ.

ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლების მუშაობის გასაუმჯობესებლად კოლეგიამ საგანგებო დადგენილება მიიღო.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

ჩემპიონი მიდის, ჩემპიონი რჩება

ოცი ათასი ავსტრალიელი ფეხზე ამდგარი, ხმამაღალი შეძახილებით ეასალმებოდა „ლეგენდას ცისფერ ძაისურში“ — სახელგანთქმულ მარიტა კოხს. დაუმარცხებელი ჩემპიონის ჰერბერტ ელიოტის შემდეგ მწვანე კონტინენტის, მკვიდრთ აღარ უნახავთ ასეთი ბრწყინვალე , რბენა. დედოფალ ელიზაბეტის სახელობის სტადიონზე, სადაც მსოფლიო თასის გათამაშება მიმდინარეობდა, მარიტა კოხმა თავისი შეუდარებელი გამოსვლით 400-მეტრიან დისტანციაზე პირდაპირ „შემუსრა“ იორმილა კრატოხვილოვას ორიოდე წლის წინ ფანტასტიკურად აღიარებული მსოფლიო რეკორდი და საოცარი დრო — 47,60 აჩვენა. უახლოესი მეტოქე მას მთელი 10 მეტრით ჩამორჩა.

ეს იყო ყველაზე სასახელო გამოსვლა ჩემპიონის ისედაც საოცრად მდიდარ სპორტულ ბიოგრაფიაში, 28 წლის სპორტსმენმა გამარჯვების ნიშნად ხელები მაღლა აღმართა. მან ალბათ უკვე იცოდა, რომ ასეთი გარბენები ბევრი აღარ ექნებოდა.

ფინიშთანაა მარიტა კოხი.

მართალია, კოხმა გასულ შემოდგომაზე, შტუტგარტში ზედიზედ მესამედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი, მაგრამ ფილადელფიის მყესის გამუდმებული ტკივილი სერიოზულად „დაამუქრა“ მის ოცნებას სეულის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლით დაემთავრებინა თავისი სპორტული კარიერა. და აი, საფრთხე რეალური გახდა — მარიტა კოხმა გამოაცხადა, რომ ტოვებს დიდ სპორტს.

მძლეოსანმა, რომელსაც ახლახანს 30 წელი შეუსრულდა, 14 მსოფლიო რეკორდი დაამყარა და 15-ჯერ გაუმჯობესა დახურულ დარბაზში ნაჩვენები მსოფლიო მიღწევა. მას თავის კოლექციაში ყველა ტიტული აქვს.

დაიბადა 1957 წელს ვისმარში. 15 წლის იყო, როცა მძლეოსნობამ სერიოზულად გაიტაცა. სამი წლის შემდეგ ევროპის იუნიორთა ჩემპიონატზე 400 მეტრი 51,60 გაირბინა და ერთბაშად 4 წამით გაუმჯობესა პირადი მიღწევა, ამასთან ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

მონრეალის ოლიმპიადაზე იგი 4X400 მ ამანათრბენში გდრ-ის ოთხეულის წევრი იყო, მაგრამ პირად პირველობაზე მიღებული ტრავმის გამო სარბიელზე გამოსვლა ვეღარ შეძლო. მისი თანაგუნდელები ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. ოლიმპიადის შემდეგ, 1977 წელს მარიტა კოხმა მოიგო ევროპის თასი, მაგრამ მსოფლიო თასის გათამაშებაზე დამარცხდა სახელგანთქმულ ირენა შევინსკასთან: 31 წლის პოლონელი სპორტსმენი ჯერ კიდევ მრისხანე მეტოქედ რჩებოდა 20 წლის კოხისათვის. მან 49,52 აჩვენა, კოხმა — 49,76.

ერთი წლის შემდეგ უკვე საგრძნობლად მომძლავრებულმა გერმანელმა სპორტსმენმა დამაჯერებლად მოუგო გამოცდილ მეტოქეს და მსოფლიო რეკორდიც ჩამოართვა — 48,94. კოხმა იგივე მოიმოქმედა 200-მეტრიან დისტანციაზეც. 22,24 — ესეც ახალი მსოფლიო რეკორდი გახლდათ.

სილკე გლადიში

მარიტა კოხმა 1979 წელს კვლავ დაამყარა მსოფლიო რეკორდები: 400 მ 48,60-ში გაირბინა, ორჯერ უფრო მოკლე მანძილი კი —21,71-ში (ეს რეკორდი ახლაც „ძალაშია“). იმ წელს იგი მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, ისიც სახელგანთქმულ ამერიკელ ეველინ ეშფორდთან. ეს მოხდა მსოფლიო თასის გათამაშებაში, 200 მეტრზე გარბენში.

ეშფორდთან დამარცხებამ კოხი, ეტყობა, აიძულა მთელი ყურადღება 400-მეტრიან დისტანციაზე გადაეტანა, მოსკოვის ოლიმპიადაზე სწორედ ამ დისტანციაზე მოიპოვა ოქროს მედალი.

1982 წელს კოხი კვლავ ორ მსოფლიო რეკორდს ამყარებს 400 მ და 4X400 ამანათრბენში, წარმატებით გამოდის ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატშიც (1983 წ.)...

გასულ წელს კოხი 3-ჯერ გამოვიდა სტარტზე, შემდეგ კი გადაწყვიტა დავმთავრებინა სპორტული კარიერა. ცხოვრება კი გრძელდება, კოხი მისმა მწვრთნელმა ვოლფგანგ მაიერმა შეერთო ცოლად და ახლა მარიტა სწავლას აგრძელებს სამედიცინო ინსტიტუტში — ექიმობა მისი დიდი ხნის ოცნება იყო.

კოხის მემკვიდრე

მოკლე მანძილზე მსოფლიოს საუკეთესო მორბენლად, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, აღიარეს სილკე გლადიში (გდრ). ეს ტიტული სპორტსმენმა თავის თანამემამულეს მარიტა კოხს ჩამოართვა. როგორც იცით, გლადიშმა რომში ორი ოქროს მედალი მოიპოვა 100 და 200-მეტრიან დისტანციაზე, ხოლო 4X100 მ ამანათრბენში — თანაგუნდელებთან ერთად მე-2 ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ კოხი და გლადიში ერთი მწვრთნელის—ვოლფგანგ მაიერის აღზრდილები არიან. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ახალ ჩემპიონთან გდრ-ის საგენტომ (ადნ) გამოაქვეყნა.

◎ რა გაკავშირებთ კოხთან?

— ჩვენ ძალიან კარგი, შეგობრული დამოკიდებულება გვაქვს. სხვათა შორის, არა მარტო სპორტში. რომში ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. მარიტა იქ მსოფლიო ჩემპიონატის საპატიო სტუმრებს (შორის იყო და მე მქმობდა.

◎ როგორ ეგუებით თქვენს ახლანდელ პოპულარობას?

— ჩემთვის ეს უჩვეულოა — ყველას ყურადღების ცენტრში ხარ. მაგრამ ამას, ეტყობა, უნდა მიეჩვიო.

◎ თქვენ უკვე გახდით მსოფლიო ჩემპიონი ჰელსინკში, მაგრამ ეს იყო ესტაფეტაში, პირად პირველობაში კი ფინალში ვერ მოხვდით.

— ჰელსინკში გამოსვლის დროს მე, უბრალოდ ისეთი რანგის შეჯიბრებაზე გამოსვლის გამოცდილება არ მქონდა, როგორიც მსოფლიო ჩემპიონატია. მოგეხსენებათ ახალგაზრდა სპორტსმენს ბევრი რამ აღელვებს.

წლიდან წლამდე ჩემი შედეგები იზრდებოდა, მაგრამ თუ მე, მარიტა კოხს ვარჯიშზე ვჯობნიდი, შეჯიბრებაზე ის იყო პირველი. სპორტსმენის გამოსვლაზე დიდ გავლენას ახდენს ფსიქოლოგიური სიმტკიცე.

◎ ფიქრობდით თუ არა, რომ რომში ორ დისტანციაზე გაიმარჯვებდით?

— ქვეყნის ჩემპიონატში კარგად გამოსვლის შემდეგ მწვრთნელმა მითხრა, რომ შემეძლო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გავმხდარიყავი.

◎ როგორ გახდით მძლეოსანი?

— თავდაპირველად წყალში ხტომასა და ტანვარჯიშში „ვოსტადებოდი“. ეს... საბავშვო ბაღში ყოფნისას. მაგრამ ეს სახეობები არ მომეწონა. მოგვიანებით, 10 წლისამ, წარმატებას მივაღწიე მძლეოსანთა შეჯიბრებაზე. სწორედ მაშინ დამებადა ინტერესი სპორტის ამ სახეობის მიმართ. 1977 წელს პირველად მოვხვდი ბავშვთა და მოსწავლეთა სპარტაკიადაზე, შემდეგ კი მწვრთნელ მაიერის ჯგუფში მიმიპატიჟეს. მაშინ 18 წლის ვიყავი.

◎ შეეცდებით თუ არა ოლიმპიადაზე მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას?

— ვნახოთ. ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე ხომ გამარჯვებაა მთავარი.

მესამე ლაშრატი

ლუქსემბურგში გაიმართა ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის (უსი) კონგრესი, რომელზეც ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა ლუის პუტჩმა (ესპანეთი) საერთაშორისო ველოსპორტში განსაკუთრებული დამსახურებისთვის საპატიო ნიშანი გადასცა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს ვალერი სისოევს.

საპატიო ნიშნით ტრადიციულად ჯილდოვდებიან ისინი, ვისაც გარკვეული წვლილი შეაქვთ სპორტის ამ სახეობის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში. აქამდე ჩვენს ქვეყანაში ჯილდო მიღებული ჰქონდათ უსი-ს ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს, საბჭოთა კავშირის ველოსპორტის ფედერაციის ყოფილ თავმჯდომარეს ალექსი კუბრიანოვს და ფიაკ-ისა და უსი-ს ტექნიკური კომისიების წევრს, საერთაშორისო კომისარს მირონ ბარამიას. ვალერ სისოევი საპატიო ნიშნის მესამე ლაურეატია ჩვენს ქვეყანაში.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

თბილისის სპორტის სასახლე

5 დეკემბერი

ქართული ჭიდაობა

საქართველოს აბსოლუტური პირველობა

დასაწყისი 17 ს.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

„ედაკციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 95-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 97-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ნაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08117